გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №24

2025 წლის 14 თებერვალი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ'' საქართველოს კანონი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს. ამასთან, ამავე კანონით დადგენილია, როგორც ზოგადად, ადმინისტრაციული ორგანოების (მუხლი 21), ისე ცალკეული უწყებების, მათ შორის მუნიციპალიტეტის ორგანოების ცალკეული ვალდებულებები კანონით განსაზღვრულ სფეროში, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის დანერგვა ან/და უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, თავისი მმართველობის სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულების სრული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

ბ) უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის თავის სისტემაში არსებული ყველა შესაბამისი სერვისის სრული ხელმისაწვდომობა, შესაბამის საჭიროებებზე მორგებული, ადაპტირებული პროგრამებისა და მასალების (მათ შორის, აუდიოწიგნი, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნი, სურდოთარგმანი, სუბტიტრი) შეთავაზების ჩათვლით;

გ) „ა" და „ბ" პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად შეიმუშაოს და დაამტკიცოს ადაპტირებისა და უნივერსალური დიზაინის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ვადების მითითებით, უზრუნველყოს მისი შესრულების ზედამხედველობა;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებას;

ე) უზრუნველყოს შესაბამისი კადრების მუდმივი გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით;
ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღოს ამ კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და ინსტრუქციების შემუშავებაში და ხელი შეუწყოს მათ იმპლემენტაციას;
ზ) განახორციელოს ამ თავით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

ზემოაღნიშნული კანონი, ასევე ადგენს, უწყებათა უფლება–მოვალეობებს გარდამავალ პერიოდში (მუხლი 37), მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას, უზრუნველყონ ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონში აღნიშნული 2021–2035 წლების ერთიანი სტრატეგიით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება და დამტკიცება მათთვის სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესრულების ვადების მითითებით;
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებული და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენილი „გორის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმა".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმა დანართი 1-ის შესაბამისად.
2. დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერიას ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება დაინტერესებული პირის მიერ შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

<table>
<tr><td colspan="5">**მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმა**</td></tr>
<tr><td>**მიზანი 1.**</td><td colspan="4">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.</td></tr>
<tr><td>**ამოცანა 1.1.**</td><td colspan="4">შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">**ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:**
კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერებას ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.</td><td colspan="2">**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:**
შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების განხორციელება დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით.</td></tr>
<tr><td>**აქტივობა 1.1.1**</td><td colspan="4"><u>*მაგალითად:*</u> მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების ადაპტირება</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">***აქტივობის შედეგის ინდიკატორი:*** *ადაპტირებულია სულ მცირე 2 შენობა*</td><td>**შესრულების ვადა**</td><td colspan="2">**დაფინანსების წყარო**</td></tr>
<tr><td rowspan="2">წლის მე4 კვარტალი</td><td>**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**</td><td>**სხვა**</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი/პირი:**</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">**პარტნიორი უწყება:**
<u>*მაგალითად:*</u> საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</td></tr>
<tr><td>**აქტივობა 1.1.2**</td><td colspan="4">**მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში შშმ პირთათვის მისაწვდომობის გარანტიების გათვალისწინება**</td></tr>
</table>

	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
	მუნიციპალიტეტების მიერ გამოცხადებული ტენდერებში 5 ტენდერი რომლის სატენდერო პირობები ითვალისწინებს მისაწვდომის სტანდარტის მოთხოვნებს	2025 წლის 4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა
			გორის მუნიციპალიტეტი ბიუჯეტი შეადგენს **1 918 000**	

	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი/პირი: სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
	პარტნიორი უწყება:
აქტივობა 1.1.3	რეკრეაციული სივრცეების ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის

	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო	
	ადაპტირებულია არანაკლებ ექვსი რეკრეაციული სივრცე.ერთი პროექტი მიმდინარეობს სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით	2025 წლის მე4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეადგენს **1 379 400**	სხვა
			რეგ ფონდი	**538 600**
	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი/პირი:სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
	პარტნიორი უწყება: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი			

აქტივობა 1.1.5	*<u>მაგალითად:</u>* მუნიციპალიტეტებში ე.წ. „ჭკვიანი“ შუქნიშნების დამონტაჟება		
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო

	დამონტაჟებულია ე.წ. „ჭკვიანი“ შუქნიშნები მინიმუმ ერთ ქუჩაზე/გზაჯვარედინზე	წლის მე4 კვარტალი	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**	**სხვა**
	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი/პირი:			
	პარტნიორი უწყება:			
აქტივობა 1.1.6	*<u>მაგალითად:</u>* მუნიციპალიტეტებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: *ადაპტირებულია მინიმუმ 1 ავტობუსის გაჩერება*	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	
		წლის მე4 კვარტალი	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**	**სხვა**
	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი/პირი:			
	პარტნიორი უწყება: *<u>მაგალითად:</u>* საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო			
ამოცანა 1.2	**შშმ პირთა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში მონაწილეობის გაზრდა**			

	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: *„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს შშმ პირების სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობას ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე*	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:** *შშმ პირების სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერა დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით.*

აქტივობა 1.2.1	*<u>მაგალითად:</u>* მასობრივი სპორტის ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობის წახალისება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: ***მასობრივი სპორტის ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს მინიმუმ 40 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სპორტის სხვადასხვა სახეობებში***	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	
		2025 წლის მე-4 კვარტალი	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**	**სხვა**
			14990	
	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი/პირი: განათლების კულტურის , სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
	პარტნიორი უწყება:			
აქტივობა 1.2.2	*<u>მაგალითად:</u>* კულტურული ან/და ტრადიციული თავისებურებების გათვალისწინებით, სხვადასხვა ღონისძიებებში შშმ პირების მონაწილეობა			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: ***1.შშმ პირთა გადამზადება ტიხრულ მინანქარში, მონაწილეობას მიიღებს 10 შშმპირი*** ***2.შშმ ახალგაზრდებში მოტორიკის უნარების განვითარება თიხის დამუშავებით. სადაც მონაწილეობას მიიღებს 50 შშმპირი***	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	
		2025 წლის მე-4 კვარტალი	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**	**სხვა**
			10230	
	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი/პირი:განათლების კულტურის , სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
	პარტნიორი უწყება: შშმ პირთა კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი			

ამოცანა 1.3.	**შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის გარანტიების გაძლიერება**

	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: *უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს პრაქტიკა, მუნიციპალური პროგრამებში ბენეფიციარების აღრიცხვის დროს მათ შორის შშმ ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის წარმოებისა*	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:** *მუნიციპალიტეტს აქვს ინფორმაცია წლის განმავლობაში მუნიციპალური პროგრამით მოსარგებლე შშმ პირთა ბენეფიციარების რაოდენობის შესახებ*

აქტივობა 1.3.1	*<u>მაგალითად:</u>* მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: **მუნიციპალიტეტის მიერ, მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შშმ ბენეფიციართა აღრიცხვა.**	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**	
		2025 წლის მე-4 კვარტალი	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**	**სხვა**
	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი/პირი:სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. განათლების კულტურის , სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.			
	პარტნიორი უწყება:			
მიზანი 2.	საზოგადოების და მუნიციპალიტეტების თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება/შესაძლებლობების გაძლიერება შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე			
ამოცანა 2.1	მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის საინფორმაციო შეხვედრების/სასწავლო ღონისძიებების/ტრენინგების ჩატარება შშმ პირთა უფლებებსა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტებზე			

	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: *„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.*	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:** *შშმ პირების საკითხებზე თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით.*
აქტივობა 2.1.1	*<u>მაგალითად:</u>* „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილება) ეფექტიანად განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	

	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: *გადამზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის*	**შესრულების ვადა**	**დაფინანსების წყარო**

	არანაკლებ (მიეთითოს რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი) თანამშრომელი	წლის მე-4 კვარტალი	**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**	**სხვა**
				<u>მაგალითად:</u> განვითარების პარტნიორი
	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი/პირი:			
	პარტნიორი უწყება: *<u>მაგალითად:</u>* საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			